კომერციული ბანკის საკრედიტო ოპერაციების შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმება

კონდრატ დიმიტრიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

შიდა აუდიტის როლი ბანკის განვითარების პერსპექტიული პროგრამის შემუშავებაში საკმაოდ მაღალია. მან უნდა უზრუნველყოს ბანკის კომერციული საქმიანობის განვითარების ტაქტიკის მიღების სისტემის მდგომარეობის შეფასება, რომელიც მისი აქციონერების მიერ განსაზღვრული მიზნების შესაბამისი იქნება. შიდა აუდიტის სამსახურმა ბანკის ხელმძღვანელობას ბანკის მიერ დასახული მიზნების მიღწევის რეალურობის შესახებ დასკვნა უნდა წარუდგინოს. აღნიშნული დასკვნა ბანკის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების ანალიზზე უნდა იყოს დაფუძნებული. კომერციული ბანკის საკრედიტო ოპერაციები, როგორც წესი, ბანკის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირებას ახდენენ. სწორედ ამიტომ მუშაობა ამ მიმართულებით შიდა აუდიტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ბანკის საჭირო შიდა საბუთების ჩამონათვალი მოიცავს:

- საბუთებს, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებს, ბანკის ქვედანაყოფებსა და თანამშრომლებს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განაწილებას განსაზღვრავენ;
- საბუთებს, რომლებიც ოპერაციების ჩატარებისას სახსრების განთავსებასთან და მოზიდვასთან დაკავშირებით ბანკის პოლიტიკის, ფინანსურ ბაზრებზე ოპერაციების რეგლამენტაციის მოთხოვნილებების რეალიზაციასთან მიმართებაში ღონისძიებების განმსაზღვრელია;
- დებულებებს ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიის პროცედურის შესახებ, კლიენტების ანგარიშების გახსნისა და მომსახურების შესახებ, ავტომატიზირებული საბანკო სისტემებისადმი მომხმარებლების შეღწევადობის განაწილების შესახებ;
- საბუთები, რომლებიც შიდა კონტროლის სამსახურის საქმიანობას არეგულირებენ.

ბანკს ასევე უნდა გააჩნდეს საბუთები, რომლებიც სახსრების მოზიდვისა და განთავსების პოლიტიკას განსაზღვრაენ.

ამასთან ოპერაციებისა და გარიგებების ჩატარების წესი ხელს უნდა უწყობდეს ბანკის მიერ დასახული საქმიანობის მიზნობრივი ორიენტირების მიღწევას კანონმდებლობისა ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ნორმატიული აქტების დაცვით. მითითებულ საბუთებში განსაზღვრულია ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და გარიგებების ჩამონათვალი, აგრეთვე აღნიშნული ოპერაციებისა და გარიგებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები.

ბანკის შიდა საბუთების შემადგენლობისადმი აუცილებელ მოთხოვნას, ავტორის მოსაზრებით, წარმოადგენს შიდა ინსტრუქციების (დებულებების) არსებობა ბანკის მიერ განხორციელებადი ოპერაციების (გარიგებების), გაწეული მომსახურეობების თითოეულ ტიპზე. ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ნორმატიული აქტები მოითხოვენ ბანკებში ინსტრუქციის არსებობას, რომლებიც ფინანსურ ბაზრებზე კლიენტების ანგარიშების გახსნისა და მომსახურების წესის შესახებ ღონისძიებების განმსაზღვრელებია და სსვა.

კლიენტებზე ფულადი სახსრების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიდიდითა და პირობებზე მიწოდება ბანკის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, მაგრამ საკრედიტო პორტფელის ფორმირებისას წარმოიშობა საბანკო რისკები, რომლებიც შეცდომითი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასთან, კრედიტებთან უკანონო მანიპულაციებთან, გაუთვალისწინებელ ეკონომიკურ ვარდნასთან არის დაკავშირებული.

საკრედიტო პორტფელის ეფექტური მართვა იწყება დაკრედიტების პოლიტიკის დეტალური დამუშავებიდან, რომელიც დასტურდება საბუთით, რომელიც დამტკიცებულია და პერიოდულად გადაისინჯება დირექტორთა საბჭოს ან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მასში ფულადი სახსრების მიწოდების მიზნები და ამოცანები უნდა იყოს ჩამოყალიბებული აქტივების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის, საქმიანობის მოცემული მიმართულების მომგებიანობის ნაწილში.

ბანკის დირექტორთა საბჭო (სამეთვალყ-

ურეო საბჭო) საკრედიტო ორგანიზაციის შიდა საბუთებს ამტკიცებს, რომლებიც მართვის ორგანოების საქმიანობის წესს განსაზღვრავენ, ამუშავებს პოლიტიკის საერთო კონცეფციას, კონტროლს, გადასინჯვას, ახორციელებს შესწორებების შეტანას.

ბანკის მმართველობა (დირექცია) საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ადგენს და რეალიზებას ახორციელებს, კონტროლს უწევს მისი დებულებების გადასინჯვას, საჭირო შესწორებების შეტანას ახორციელებს; მსხვილი კრედიტების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს.

საკრედიტო კომიტეტი ღებულობს გადაწყვეტილებებს კრედიტების გაცემის შესახებ, ფულადი სახსრების მიწოდებასთან დაკავშირებით პოლიტიკის გაუმჯობესებას და რეალიზებას ახორციელებს, დაკრედიტებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საკითხებს წყვეტს.

საკრედიტო ქვედანაყოფები ფულადი სახსრების მიწოდებასთან დაკავშირებით პოლიტიკის რეალიზაციას ახორციელებს, და მის გაუმჯობესებასთან მიმართებაში საბუთებს ამუშავებს.

შიდა აუდიტის სამსახურები კრედიტში ფულადი სახსრების მიწოდებასთან დაკავშირებით პოლიტიკის ჩარჩოებში დასმული მიზნების მიღწევას აფასებს, საჭირო გადაწყვეტილებებს ამუშავებს.

შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობის ერთერთი მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმის გამოვლენაში, საკრედიტო მუშაობის ორგანიზაცია ხელს უწყობს თუ არა საკრედიტო რისკის შემცირებას.

ფულადი სახსრების მიწოდებასთან და მათ დაბრუნებასთან დაკავშირებული ოპერაციები თავიანთ ასახვას პოულობენ საკრედიტო ორგანიზაციის ბალანსში და გარესაბალანსო აღრიცხვაზე. ფილიალის ან ბანკის ქვედანაყოფის საკრედიტო პორტფელის შემოწმების მიზნებს შიდა აუდიტის პროცესში წარმოადგენს:

- შემოწმების შედეგების მიხედვით საკრედიტო პორტფელის ანალიზი, მათ შორის სასესხო დავალიანების და მასთან გათანაბრებული დავალიანების სპეციფიკაცია;
- სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგებზე ფორმირებული რეზერვის საკმარისობის განსაზღვრა;
- ფილიალის ან ბანკის ქვედანაყოფის მიერ განხორციელებადი ფულადი სახსრების მიწოდებასთან დაკავშირებით ოპერაციების შესაბამისობის შემოწმება როგორც მომქმედ კანონმდებლობასთან და ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტებთან, აგრეთვე ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან;
- ფულადი სახსრების მიწოდებასთან დაკავშირებული ბუღალტრულ აღრიცხვაში ოპერაციების ასახვის უტყუარობის დადასტურება;
- ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ფულადი სახსრების მიწოდებასთან დაკავშირებული ოპერაციების ზემოქმედების ანალიზი.

ბანკის საკრედიტო პორტფელის შეფასებისას აუდიტორები შემოწმების საწყის ეტაპზე საკრედიტო პორტფელის მდგომარეობის ანალიზს შემდეგი მიმართულებებით ახორციელებენ:

- საკრედიტო დაბანდებების ხვედრითი წილი აქტივების საერთო ჯამში;
- საკრედიტო დაბანდებების ხვედრითი წილი იურიდიული პირების და ფიზიკური პირების დავალიანებების მიხედვით;
- კრედიტების კონცენტრაცია რეგიონებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით;
- მსხვილი კრედიტების ხვედრითი წილი საკრედიტო დაბანდებების საერთო მოცულობაში;
- ბანკის კლიენტებზე გაცემული კრედიტების ხვედრითი წილი საკრედიტო დაბანდებების საერთო მოცულობაში;
- კრედიტების სტრუქტურა ვადების მიხედვით;
- კრედიტების ხვედრითი წილი აქციონერებზე, ინსაიდერებზე მიწოდებული საკრედიტო დაბანდებების საერთო მოცულობაში;
- პროლონგირებული კრედიტების ხვედრითი წილი საკრედიტო დაბანდებების საერთო მოცულობაში;
- ვადაგადაცილებული კრედიტების ხვედრითი წილი საკრედიტო დაბანდებების საერთო მოცულობაში;
- უპროცენტო კრედიტების ხვედრითი წილი საკრედიტო დაბანდებების საერთო მოცულობაში;
- საბალანსო (უზრუნველყოფის გარეშე გაფორმებული) კრედიტების ხვედრითი წილი საკრედიტო დაბანდებების საერთო მოცულობაში;
- რისკების ჯგუფების მიხედვით კლასიფიცირებული კრედიტების ხვედრითი წილი საკრედიტო დაბანდებების საერთო მოცულობაში;
- სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგებზე საანგარიშო რეზერვის თანაფარდობა საკრედიტო დაბანდების საერთო მოცულობასთან.

მიღებული შედეგები შემოწმების აქტში ცხრილების (გრაფიკების, დიაგრამების) სახით ფორმდება.

კონკრეტულად გაცემული სესხის მიხედვით საკრედიტო რისკის შედარებისათვის მსესხებლებისა და საკრედიტო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი შემდეგი საბუთების მიხედვით უნდა იქნას გაანალიზებული:

1. განაცხადი კრედიტის მიწოდებაზე;
2. მსესხებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთები;
3. ცნობები, რომლებიც ადასტურებენ კლიენტის საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ;
4. მსესხებლის ფინანსური საბუთები;
5. საკრედიტო გარიგების ტექნიკურ-ეკონომიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საბუთები;
6. საბუთები წარმოდგენილ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;
7. საკრედიტო ორგანიზაციის საკრედიტო ქვედანაყოფის დასკვნა მსესხებელზე ფულადი სახსრების მიწოდების შესაძლებლობის შესახებ;
8. ბანკის მმართველობის ან საკრედიტო კომიტეტის სხდომის ოქმი მსესხებელზე ფულადი სახსრების მიწოდების შესახებ;
9. საკრედიტო ხელშეკრულება;
10. აღრიცხვასთან დაკავშირებით პირადი ანგარიშებიდან ამონაწერები;
11. ბუღალტრული საბუთები ბანკებისათვის (საჭიროების შემთხვევაში);
12. მოცემულ მსესხებელზე ადრე გაცემული კრედიტების მიხედვით საბუთები (საკრედიტო ისტორია).

- მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ხორციელდება მსესხებლის მიერ საკრედიტო ორგანიზაციაში წარდგენილი ყველა საბუთის საფუძველზე, რომლებიც მის საკრედიტო დოსიეშია მოთავსებული.
- მსესხებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მისი ფინანსური მდგომარეობის, მათ შორის ლიკვიდურობისა და ფინანსური მდგრადობის შეფასება.

შემოწმების მსვლელობისას საჭიროა გაირკვეს:

- ბანკის ქვედანაყოფს აქვს თუ არა კლიენტი-მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგების შემუშავებული ფორმა, რომელიც მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის მახასიათებელ ძირითად მაჩვენებლების ჩამონათვალს მოიცავს;
- დასკვნაში მითითებულია თუ არა რისკის შეფასება, რომელსაც ბანკის ქვეგანყოფილება იღებს თავის თავზე;
- მიღებულია თუ არა პოტენციალური მსესხებლისათვის ფულადი სახსრების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილება მისი ფიანნსური მდგომარეობის ჩატარებული შეფასების საფუძველზე.

მსესხებლის ბალანსის ანალიზი ითვალისწინებს ძირითადი კოეფიციენტებისა და მაჩვენებლების გაანგარიშებას, როგორებიცაა: მიმდინარე ლიკვიდურობა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფადობა, სუფთა აქტივების ღირებულება.

საწარმოს ბალანსის სტრუქტურის არადამაკმაყოფილებლად ანუ გადახდისუუნაროდ ცნობისათვის საფუძველს წარმოადგენს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთის არსებობა:

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტს საანგარიშსწორებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის 2-ზე ნაკლები მნიშვნელობა გააჩნია;

საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტს საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის 0,1-ზე ნაკლები მნიშვნელობა გააჩნია.

შიდა აუდიტის მუშაობაში შემდეგ ეტაპს წარმოადგენს კრედიტის უზრუნველყოფის არსებობისა და ხარისხის შემოწმება, რომელიც ხორციელდება შემდეგი საბუთების საფუძველზე:

- საკუთრების ობიექტზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთები;
- სადაზღვევო პოლისი, რომლის მიხედვით ბანკი მომგებიან შემძენად გამოდის;
- მიწის ნაკვეთის ტერიტორიული საზღვრების შესახებ საბუთი;
- უძრავი ქონების ობიექტის რეგისტრაციისა და ტექნიკური ინვენტარიზაციის განმხორციელებელი ორგანოდან რეგისტრაციის შესახებ ცნობა და სხვა.

საბუთების შესაბამისად გაფორმებისას უნდა იქნას დაზუსტებული:

- განსაზღვრულია თუ არა გირაოს საგნის საბაზრო ღირებულება რისკის შეფასების მომენტისათვის;
- გაფორმებულია თუ არა იურიდიული საბუთები ისეთი სახით, რომ გირაოს რეალიზაციისათვის საჭირო დრო 150 დღეს არ აღემატება;
- გირაოს საგნების საბაზრო ღირებულების საკმარისობა ბანკისათვის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტების ჯამის კომპენსირებისათვის.

გირაოს საგნების რეალურ ღირებულებაზე,

ცხრილი N1

კოეფიციენტების გაანგარიშება ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ხარისხის ანალიზისათვის

მაჩვენებელი	პირობითი აღნიშვნები
1. გაცემული კრედიტების მოძრაობის ანალიზი	
კრედიტების დაფარვის კოეფიციენტი= $=К_{დფ}/К_{გც}\times100$	$К_{დფ}$ – არის პერიოდში დაფარული კრედიტები $К_{გც}$– არის იმავე პერიოდში გაცემული კრედიტები
კრედიტების ბრუნვადობის კოეფიციენტი= $=(К_{ხნ}\times T)/К_{დფ}$	$К_{ხნ}$– არის კრედიტების მიხედვით საშუალო ნაშთები პერიოდში $К_{დფ}$ – კრედიტები დაფარულ პერიოდში T – დღეების რაოდენობა პერიოდში
სასესხო აქტივების ზრდის ტემპები= $=К1_{ნშ}/К2_{ნშ}\times100$	$К1_{ნშ}$ – არისა კრედიტების ნაშთები პერიოდის ბოლოსათვის $К2_{ნშ}$ – არის კრედიტების ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის
წინსწრების კოეფიციენტი = $СК_{ზტ}/К_{ზტ}$	$СК_{ზტ}$– სასესხო აქტივების ზრდის ტემპი $К_{ზტ}$– აქტივების ჯამის ზრდის ტემპი
2. საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის განსაზღვრა	
ჯგუფების მიხედვით კრედიტების ხვედრითი წილი საკრედიტო დაბანდების საერთო ჯამში	ჯგუფები განისაზღვრება ეკონომიკის დარგების, დისლოკაციის გეოგრაფიული რაიონისა და მსესხებლის საკუთრების სახეების მიხედვით
საქმიანობის ეკონომიკური ნორმატივების დაცვა	ეროვნული ბანკის შესაბამისი ინსტრუქ-ცია
3. სესხების უზრუნველყოფადობის შეფასება	
უზრუნველყოფაზე დამოკიდებულებენ კრედიტების ხვედრითი წილი საკრედიტო დაბანდების საერთო ჯამში	კრედიტები დაიყოფა: უზრუნველყოფა-დებად, არასაკმარისად უზრუნველყოფა-დებად, არაუზრუნველყოფილებად
სესხის უზრუნველყოფა= (უზრუნველყოფის სახეობა/$С_{დვ}$) x 100%	$С_{დვ}$ – არის სასესხო დავალიანება
4. კრედიტების დაფარვისა და დაბრუნებადობის შეფასება	
დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი= $д_{ვგ}/а\times100\%)$	$д_{ვგ}$ არის ვადაგადაცილებული დავალი-ანება; а – არის აქტივები К – არის ბანკის კაპიტალი
დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი= $д_{ვგ}/К\times100\%)$	
დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი= $д_{ვგ}/С_{დვ}\times100\%)$	
5. საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის განსაზღვრა	
K1= (% მილი - % გადახდა/$С_{დვ}$) x100%	% მილი – არის კრედიტების მიხედვით მიღებული პროცენტები % გადახდა – დეპოზიტებზე და სხვა ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტები $С_{შმ}$ – შემოსავლების მომტანი სესხები
K2= (% მილი - % გადახდა/К) x100%	
K3= (% მილი/$С_{ზგ}$) x100%	
K4= (% მილი - % გადახდა/$С_{შმ}$) x100%	

მათ საკმარის ლიკვიდობაზე და სწორ იურიდიულ გაფორმებაზე დამოკიდებულებაში სესხები შეიძლება იქნან მიკუთვნებულები: უზრუნველყოფილებს, არასაკმარისად უზრუნველყოფილებს, არაუზრუნველყოფილებს.

✓ **საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების, კრედიტის გადაფორმების (პროლონგაციის) სისწორის შემოწმება**:

საკრედიტო ორგანიზაციისა და მსესხებლის ურთიერთობის მარეგლამენტირებელ ძირითად საბუთს საკრედიტო ხელშეკრულება წარმოადგენს. საკრედიტო ხელშეკრულების განხილვისას მოწმდება შემდეგი მონაცემების არსებობა:

- გაფორმების თარიღი;
- მხარეების სრული დასახელება და საგადასახადო რეკვიზიტები;
- კრედიტის თანხა და მხარეების მიერ მისი კორექტირების შესაძლებლობა;
- მიზნობრივი გამოყენება;
- კრედიტის ძირითადი თანხის გეგმისა და მასზე დარიცხული პროცენტების (ძირითად თანხასთან ერთად) დაბრუნების წესი და ვადები;
- საპროცენტო განაკვეთი და მისი კორექტირების შესაძლებლობა;
- კრედიტის უზრუნველყოფა;
- საკრედიტო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის პირობები და საჯარიმო სანქციები ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე;
- ხელშეკრულების მიხედვით უთანხმოების განხილვის წესი.

✓ **ოპერაციის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ასახვის სისწორის შემოწმება:**

დღის ბუღალტრული საბუთების მიხედვით ხორციელდება კლიენტი-მსესხებელზე ფულადი სახსრების მიწოდების შესახებ განკარგულების არსებობის შემოწმება. განკარგულება უნდა მოიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ხელშეკრულების ნომერს;
- ხელშეკრულების თარიღს;
- სესხად გაცემული ფულადი სახსრების თანხას;
- პროცენტების გადახდის თანხას და საპროცენტო განაკვეთის სიდიდეს;
- ფულადი სახსრების დაფარვის ვადებს;
- საკრედიტო რისკის ჯგუფის ციფრულ გამოსახვას;
- კრედიტის უზრუნველყოფას;
- განკარგულებისადმი თანდართული საბუთების სიას.

შემდეგ მოწმდება:

- ოპერაციის ასახვის სისწორე ფულადი სახსრების მიწოდებასთან და მათ დაბრუნებასთან დაკავშრებით;
- პროცენტების თავისდროულად დარიცხვისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების მიხედვით ასახვის სისწორე;
- გაცემული კრედიტებიდან მიღებული შემოსავლების ფორმების სისწორე.

✓ **სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგებზე რეზერვების ფორმების სისწორის შემოწმება:**

შიდა აუდიტორის მიერ ბანკის მიერ სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგებზე სავალდებულო რეზერვების ფორმირების სისწორის შემოწმება ხორციელდება ეროვნული (ცენტრალური) ბანკის შესაბამისი ინსტრუქციის შესაბამისად.

აუდიტორი ამოწმებს სესხების ჯგუფების მიხედვით კლასიფიცირების სისწორეს: სტანდარტულებად, საყურადღებოებად, არასტანდარტულებად, საეჭვოებად და უიმედოებად. დარეზერვება ხორციელდება ბანკის შემოსავლებიდან თითოეული ჯგუფის მიხედვით ინსტრუქციაში მითითებული საპროცენტო განაკვეთების ოდენობით ვადაგადაცილების გათვალისწინებით.

ბანკის საკრედიტო მუშაობის ხარისხის შეფასება რიგი კოეფიციენტების გამოყენებით ხორციელდება, რომელთა ნაწილი ცხრილი N1-შია მოტანილი.

INSPECTION OF COMMERCIAL BANK CREDIT OPERATIONS BY INTERNAL AUDIT

KONDRAT DIMITRISHVILI - Doctoral Candidate

During the inspection of commercial bank credit operations by internal audit, main attention should be drawn to concluding credit contract, inspection of correctness while registering credit, inspection of reserve forms correctness on the possible losses according to the credits and calculation of rates, which is defined for the bank credit policy quality analysis.